ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №10

29.04.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **საბა ბუაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. „პროექტი ცხოველებისთვის“ (“Animal Project”) წარმომადგენლები: ნ. ჩიქოვანი, ნ. იაშვილი, ნ. ქაშიბაძე, დ. დიდებაშვილი;
3. შპს „ფარმინა“-ს წარმომადგენლები: ერალფ პატიპოღლუ და ბექა ქემერტელიძე;
4. ი. ვახანაია, დ. აბაშიძე, მ. მეტრეველი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა (ანგარიში ოქმს ერთვის)

/მომხსენებელი: ნიკოლოზ ქობულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენამდე, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ ისაუბრა შინაური ცხოველების პოპულაციების ზრდის, ცხოველთა უფლებების დამცველების, ცხოველთა მოყვარულებისა და მეპატრონეების, ასევე, მუნიციპალური და ცენტრალური ხელისუფლების უფლება-მოვალეობების შესახებ და აღნიშნა, რომ შინაური ცხოველების, მათ შორის უპატრონო ცხოველების (ძაღლების, კატების) საკითხით დაინტერესებული მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან დაინტერესება დიდია და საჭიროა, რომ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდეს ერთობლივი ძალისხმევით.

საზოგადოება - „პროექტი ცხოველებისთვის“ (“Animal Project”) წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნათია ჩიქოვანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საზოგადოების საქმიანობა და ის წევრები, რომლებიც ესწრებოდნენ კომისიის სხდომას.

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ნიკოლოზ ქობულაძემ.

მომხსენებლის (ნ. ქობულაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, 2021 წლის განმავლობაში ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1) სააგენტოში შესული შეტყობინებების რაოდენობა - 58 956;
2) სააგენტოს მიერ 14 443 შეტყობინებაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
3) საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მონიტორინგის ეკიპაჟის მიერ ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი იქნა 10 388 ცხოველი;
4) ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ჩატარდა 5 734 სტერილიზაცია/კასტრაციის ოპერაცია (აქედან, კასტრაცია/სტერილიზაციის ოპერაცია ჩაუტარდა 4 813 ძაღლს და 921 კატას);
5) ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ჩატარდა 6 992 ქირურგიული ოპერაცია;
6) საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 353 სამაშველო ოპერაცია და გადარჩენილ იქნა 400-მდე ცხოველი;
7) 2021 წელს ჩატარდა 7336 ცხოველთა ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაცია;

8) ცხოველთა მუნიციპალურმა თავშესაფარმა ქირურგიული დახმარება გაუწია 1 525 ტრავმირებულ ცხოველს;
9) ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 781 ცხოველი;
10) 2021 წლის განმავლობაში ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრიდან მიკედლებული ცხოველების რაოდენობა შეადგენს 2 095-ს;
11) ბუნებრივ არეალში დაბრუნდა 4 652 ცხოველი;
12) პატრონს დაუბრუნდა 129 ცხოველი;
13) 2021 წელს განხორციელდა 322 ცხოველის იდენტიფიცირება და რეგისტრაცია;
14) 2021 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით დაჭერილ იქნა 314 ქვეწარმავალი;
15) საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე განხორციელდა 510 რეაგირება;
16) შემუშავდა და ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში დაინერგა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ცხოველების ევთანაზიის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ევთანაზიის გადაწყვეტილება დადგენილი ალგორითმის მეშვეობით მიიღება. საანგარიშო პერიოდში მოხდა 776 ცხოველის დაძინება;
17) დედაქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა მისამართზე მიუსაფარი ცხოველებისთვის ხის სახლები დაიდგა;
18) ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კომპანია „ზოომარტმა" სააგენტოს მშრალი საკვები გადასცა, რომელიც ქუჩაში ბინადარ ცხოველებზე მზრუნველ ადამიანებს (მიმკედლებლებს) გადაუნაწილდათ;
19) ვეტერინართან ვიზიტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ 2021 წელს დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს ექიმი-ვეტერინარები თბილისის ყველა რაიონში მიკედლებულ ცხოველებს უფასო ვეტერინარულ დახმარებას უწევდნენ და ასევე უტარებდნენ ანტირაბიულ ვაქცინაციას;
20) ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო 2021 წლის განმავლობაში ინტენსიურად აგრძელებდა დედაქალაქის სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილების ჩატარებას. პროექტის მიზანი: მოზარდებში შინაური ცხოველების მიმართ ემპათიისა და ჰუმანური განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, სოციალური პასუხისმგებლობის წახალისება;
21) მოსახლეობის ცნობიერების გაზრდის მიზნით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ დედაქალაქის პარკებსა და სკვერებში საინფორმაციო ბანერები განათავსა, სადაც მითითებულია ცხოველების გასეირნების წესი და პატრონის სხვა ვალდებულებები.

მომხსენებელმა, ბატონმა ნიკოლოზ ქობულაძემ ასევე ისაუბრა მიმდინარე, 2022 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებაც და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს იგეგმება:

1) პირუტყვის სადგომის მშენებლობა;
2) 24საათიანი სამორიგეო ბაზის მშენებლობა ოპერატიული რეაგირების თანამშრომლებისათვის;
3) საკატე შენობის მშენებლობის დასრულება, რემონტი, შემოღობვა;

4) პირუტყვის გადასაყვანი მანქანის გადაკეთება/მოწყობა;

ასევე, 2022 წლისთვის დაგეგმილია ისეთი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად გაზრდის თავშესაფრის ეფექტიანობას, კერძოდ:

1) სასაწყობე ფართის მშენებლობა და მოწყობა;
2) ვოლიერების რაოდენობის გაზრდა;
3) ვეტერინარული ხელსაწყოების შესყიდვა;
4) საოპერაციო ოთახის მოწყობა;
5) შპრიცსასროლი თოფის შესყიდვა;
6) ქვეწარმავლებისათვის ტერარიუმის მოწყობა;
7) მოპედებისა და ტრიციკლების დამატება.

ანგარიშის წარდგენის დასასრულს, მომხსენებელმა (ნ. ქობულაძე) აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან ერთად მუშაობს ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ ახალ კანონპროექტზე, რომელიც მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ქ-ნმა ნ. ჩიქოვანმა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე განხორციელებული რეაგირების, განსაკუთრებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლის (ცხოველებისადმი არასათანადო მოპყრობა) საფუძველზე განხორციელებული რეაგირების შესახებ. კერძოდ, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რა უფლებამოსილება გააჩნია ცხოველებისადმი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების აღკვეთისას და რა სახის რეაგირება ხდება ასეთ შემთხვევებში. ასევე, ცხოველთა მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობის (8 ლარი) სამართალდარღვევის სიმძიმესთან თანაფარდობის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალბატონი ნ. ჩიქოვანი დაინტერესდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომელთა (განსაკუთრებით ეკიპაჟის) დისციპლინურ გადაცდომებზე განხორციელებული რეაგირების საკითხით.

მომხსენებელმა, ბატონმა ნ. ქობულაძემ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, დედაქალაქის მასშტაბით, ცხოველებისადმი არასათანადო მოპყრობაზე რეაგირებას ახდენს შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებისას და ხელმძღვანელობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილება). ხოლო

ცხოველთა მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობის (8 ლარი) თაობაზე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. ასევე, მიმდინარეობს შეხვედრები და კონსულტაციები ცხოველთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან. მათი რეკომენდაციები იქნება გათვალისწინებული.

ბატონი ნ. ქობულაძის განმარტებით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომელთა (განსაკუთრებით, ეკიპაჟის) დისციპლინური გადაცდომებისას, თითოეული შემთხვევის შესწავლა ხდება დეტალურად და დისციპლინური გადაცდომის დადასტურებისას სააგენტო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობის საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანა განეკუთვნება საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის კომპეტენციას.

ბ-ნი ს. ბუაძე დაინტერესდა:

პირველი, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომელთა დისციპლინურ გადაცდომებზე განხორციელებული შესაბამისი რეაგირების სტატისტიკით.

მეორე, სსიპ - ცხოველთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ან საკონსულტაციო ჯგუფის საკითხით.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო აწარმოებს სტატისტიკას თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომებისა და მათზე განხორციელებული რეაგირების თაობაზე. რაც შეეხება მუდმივ ფორმატში ჯგუფის შექმნის საკითხს, დამსწრე საზოგადოების სურვილის შემთხვევაში, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შეუძლია უზრუნველყოს ასეთი შეხვედრების ორგანიზება.

ბ-ნი ბექა ქემერტელიძე დაინტერესდა იმ საჯარო სივრცით (ინტერნეტ-პლატფორმა, სოციალური ქსელი და სხვ.), სადაც შესაძლებელია სააგენტოს მიეწოდოს ინფორმაცია ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის ცხოველებისადმი არასათანადო მოპყრობის შესახებ.

ბ-ნმ ნ. ქობულაძის განმარტებით, მასთან, როგორც სააგენტოს ხელმძღვანელთან კომუნიკაცია ნებისმიერ მოქალაქეს თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც სატელეფონო, ასევე პირადი შეხვედრების საშუალებით.

ქ-ნმა დ. აბაშიძემ შეკითხვა დასვა ცხოველთა ბაზრობის შესახებ.

ნ. ქობულაძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცხოველთა ბაზრობის საკითხი სამართლებრივად დასარეგულირებელია და საკანონმდებლო დონეზე მიმდინარეობს მუშაობა, რათა ცხოველთა ბაზრობის თემა მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოში.

ქ-ნი ბ. ჯიმელი სულაშვილი დაინტერესდა:

პირველი, ქვეწარმავლების დაჭერისა და მათი შემდგომი განთავსების (გადაყვანის) არეალის საკითხით.

მეორე, შინაური პირუტყვის (ძროხა, ცხენი და სხვ.) დედაქალაქის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების პრობლემისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შესახებ.

ქალბატონი ბ. ჯიმელი სულაშვილის განმარტებით, დედაქალაქის სხვადასხვა უბანში შინაური პირუტყვის უკონტროლო მოძრაობის შესახებ შეტყობინებაზე, 112-ისა (საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი) და სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან რეაგირება არ ხდება. ზემოთქმულის გათვალისწინებით, საჭიროა აღნიშნულ ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობა და მოქალაქისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ რომელი სახელმწიფო ანდა ადგილობრივი ორგანოა უფლებამოსილი განახორციელოს რეაგირება.

ქვეწარმავლების დაჭერისა და მათი განთავსების ადგილთან დაკავშირებით, **ბ-ნმა ნ. ქობულაძემ განმარტა,** რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების (ჰერპენტოლოგები) მიერ დაჭერილი ქვეწარმავლები ბრუნდებიან ბუნებრივ არეალებში.

შინაური პირუტყვის თაობაზე დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით, ცხოველთა სააგენტოს ხელმძღვანელი პირის (ნ. ქობულაძე) მიერ გაცემული პასუხის თანახმად, დედაქალაქში მოქმედებს მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ"), რომლითაც ასევე დადგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონები.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ერთ შემთხვევაში, პირუტყვის გადაადგილება ექვემდებარებოდეს დაჯარიმებას, მეორე შემთხვევაში - არა. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ყოველ მსგავს შეტყობინებაზე ახდენს რეაგირებას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ პრობლემა კომპლექსურია, სააგენტოში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის დაჭერაზე მუშაობს.

ბ-ნმა ნ. ქობულაძემ დამატებით განმარტა, რომ თუ ძროხის დაჭერა შედარებით მარტივია, ძალიან რთული და სპეციფიკურია ცხენის დაჭერა და გადაყვანა, რომელიც ასევე დიდ პრობლემას ქმნის დედაქალაქში.

ბ-ნმა დ. დიდებაშვილმა შეკითხვა დასვა ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში კატების სტერილიზაცია/კასტრაციის წლიური რაოდენობის (რომელიც დამოკიდებულია მოქალაქეთა მიმართვიანობაზე), ასევე, აღნიშნული ოპერაციების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობისა და შესაძლებლობის შესახებ.

ბატონი ნ. კახეთელიძის განმარტებით, ბ-ნი დ. დიდებაშვილის შეკითხვა და შენიშვნა მართებულია და კატების სტერილიზაცია/კასტრაცია მხოლოდ მოქალაქეთა

მიმართვიანობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. პრევენციის მიზნით, აუცილებელია, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ კატების სტერილიზაცია/კასტრაციის ოპერაციების რაოდენობა გაზარდოს.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, კატების სტერილიზაცია/კასტრაციის ოპერაციების რაოდენობის გაზრდა, მოცემული ვითარებისა და სააგენტოს არსებული რესურსის გათვალისწინებით, არ არის მართებული; რესურსის გაზრდის შემთხვევაში, გაიზრდება კატების სტერილიზაცია/კასტრაციის ოდენობაც.

ქ-ნი ნ. ქაშიბაძე დაინტერესდა ე.წ. „ცხოველის გადასმის" ინსტიტუტით, რომელიც ცუდი პრაქტიკაა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბირკიანი ცხოველის (ძაღლი) თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ (მაგალითად, გომბორი, კუმისი) დაფიქსირებული ფაქტების შესახებ.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, ცხოველის გადასმის პოლიტიკა არის არჩევანი ცუდსა და უარესს შორის, მაგრამ მთელი რიგი ობიექტური გარემოებების (ძირითადად, საფუძვლად უდევს მოსახლეობის მოთხოვნა) გამო, გადასმის სხვა ალტერნატივა არ არსებობს, თუმცა, თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ ცხოველის გადასმა/გაშვება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ არ ხდება და ვერც თანამშრომელი გადასვამს ცხოველს თბილისის საზღვრებს გარეთ, რადგან, ამ შემთხვევაში, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ს. ბუაძემ, რომელმაც ისაუბრა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობაზე, ასევე ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსა და ცხოველთა უფლებების დამცველებს შორის კომუნიკაციის საჭიროების თაობაზე.

ბ-ნი ს. ბუაძის წინადადებით, შესაძლებელია და მისაღები, შეიქმნას საკონსულტაციო ან სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი იქნებიან როგორც მუნიციპალური ორგანოების (საკრებულო, მერია), ასევე ცხოველთა უფლებების დამცველები და პერმანენტულად შეიკრიბებიან, იმსჯელებენ, ერთობლივი ძალისხმევით დასახავენ სამოქმედო გეგმებს.

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ - ცხოველთა უფლებების დამცველების საქმიანობასა და მათი აქტივობების შესახებ.

ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ არის იმის მზაობა და მოლოდინი, რომ შედგეს საქმიანი ურთიერთობა ცხოველთა უფლებების დამცველებთან და სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომლებსაც სურვილი აქვთ კონსტრუქციულად და კოორდინირებულად გადაწყვიტონ დედაქალაქში არსებული ცხოველთა საკითხები. ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებები და ინიციატივები აუცილებლად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალური ორგანოების მიერ.

ქ-ნმა ნ. ჩიქოვანმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის შესახებ.

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ ისაუბრა სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც სისტემატიურად, დათქმულ პერიოდში შეიკრიბება. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო უნდა იყოს დაინტერესებული შედგეს მსგავსი შეხვედრები, სადაც გარკვეული ჯგუფები, მუნიციპალურ ორგანომდე, ამ შემთხვევაში, სააგენტომდე, მოიტანენ იმ პრობლემებს, რომელზეც სააგენტო მოახდენს რეაგირებას.

ბატონმა ვახტანგ სურგულაძემ ასევე ისაუბრა იმ საკითხებზე, რომელიც სააგენტოს მიერ 2021 წლის ანგარიშში არის ასახული და აღნიშნა, რომ თუნდაც იგივე ცხოველთა კვების აპარატების დადგმის შემდეგ, მათი ნაწილი დაზიანებულია და შესაბამისად, ვანდალიზმის აღსაკვეთად შესაძლებელი იყო და არის დამონტაჟდეს ვიდეო-კამერები.

გარდა ამისა, დედაქალაქის სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით, ბ-ნი ვახტანგ სურგულაძის განმარტებით, მხოლოდ სააგენტო არ უნდა ეწეოდეს აღნიშნულ საქმიანობას. ამიტომ აუცილებელია ამ საქმიანობაში ჩაერთოს მას-მედიაც, მაგალითად, იგივე ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“.

ქ-ნმა ნ. ქაშიბაძემ ისაუბრა ცხოველთა პოპულაციების მართვის საკითხებზე და აღნიშნა, რომ სტერილიზაცია-კასტრაცია კონტრპროდუქტიული იქნება თუ არ მოხდება ცხოველთა გამრავლების მართვა. ამიტომ, ცხოველთა (ჯიშიანი, მეტისი) გამრავლების საკითხი უნდა დარეგულირდეს კანონით.

ბ-ნმა ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფორმატზე, ასევე, კომპანიონი ცხოველების შესახებ კანონპროექტზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ ისაუბრა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლებში, პრობლემების იდენტიფიცირების აუცილებლობაზე, რის საფუძველზეც შემუშავდება მათი გადაჭრის გრძლევადიანი ან მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა.

ქ-ნმა დ. აბაშიძემ ისაუბრა ცხოველთა მიმკედლებლების შესახებ და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიმართა მიმკედლებლის ინსტიტუტის გაძლიერებისა და მიმკედლებლის უფლებების დაცვის წინადადებით. ასევე, ქ-ნმა დ. აბაშიძემ, ყურადღება გაამახვილა ცხოველთა პოპულაციის მართვის მიზნით: ცხოველთა რეგისტრაციის, ცხოველთა კასტრაცია/სტერილიზაციის, უმართავი გამრავლების აკრძალვის დაწესების, რელოკაციისა და ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე.

ბ-ნმა ო. გრიგოლიამ ისაუბრა იმ ინდიკატორებზე, რომელიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღებისას და ერთ-ერთ ასეთ ინდიკატორად დაასახელა მოსახლეობის მოთხოვნა. მისი აზრით, კომპრომისი უნდა იქნას მოძიებული ცხოველთა მოყვარულებსა და იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც ითხოვენ ცხოველების ქუჩიდან გაყვანას და ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნას. არსებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ პირობად დაასახელა ურთიერთთანამშრომლობა.

სხდომაზე, ასევე, განხილულ იქნა ცხოველების პოპულაციების მართვის, მიკედლებული ცხოველების (ძაღლების), მიმკედლებლის სტატუსის, ცხოველთა უფლებების დარღვევის ფაქტების კონკრეტული მაგალითები.

ცხოველთა მოყვარულებმა და უფლებადამცველებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გარემოს დაცვის კომისიის წევრებსა და მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელ პირს (ნ. ქობულაძე) მიმართეს საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ცხოველის/ცხოველის ლეშის ტრანსპორტირების (მიუსაფარი ცხოველის ლეშის გადატანის) საფასურის გაუქმების რეკომენდაციით.

სხდომის დასასრულს, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ მიმართა კომისიის სხდომის დამსწრე საზოგადოებას და სხდომა შეაფასა დადებითად.

კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ცნობად იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე